



ბრძანება

N 271
27/03/2019

შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2017 წლის 06 ივნისის N507 ბრძანებით შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“ (ს/ნ 427722388, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N16) დარეგისტრირდა აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-F-788671). 2018 წლის 02 მარტს აუდიტორული ფირმის შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ის მიერ წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PFL 663/17) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2017 წლის 07 ნოემბრიდან - 2018 წლის 06 ნოემბრამდე. 2019 წლის 07 მარტს აუდიტორულ ფირმას ჩაბარდა წერილი N16/23728, რომლითაც შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ს განესაზღვრა 5 სამუშაო დღის ვადა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის. აუდიტორული ფირმის მიერ განახლებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი (N 1057/18), რომელიც გაცემულია 2018 წლის 09 ნოემბერს, წარმოდგენილია 2019 წლის 29 იანვარს, რომლის თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება 2018 წლის 09 ნოემბრიდან - 2019 წლის 08 ნოემბრამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-17 მუხლის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

„აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად,

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურსა და პროფესიულ ორგანიზაციას ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი) გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე. ხოლო, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონოდა პროფესიული პასუხისმგებლობა. სამსახურისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ვადა განისაზღვრებოდა 2018 წლის 06 ნოემბრამდე, ხოლო განახლებული პოლისი გაცემულია 2018 წლის 09 ნოემბრიდან - 2019 წლის 08 ნოემბრამდე. პერიოდზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უწყვეტობის მოთხოვნა, რაც აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობის საფუძველია.

ასევე, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან/განახლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა სამსახურისთვის. შეტყობინების კანონმდებლობით დადგენილი ვადა ამოიწურა 2018 წლის 16 ნოემბერს, ხოლო განახლებული სადაზღვევო პოლისი წარმოდგენილია 2019 წლის 29 იანვარს. კანონის ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 და მე-10 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:


1. შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება და დაჯარიმდეს 100 ლარით.

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550.

3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

